ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

კონკურსის მეშვეობით ქალაქ ლაგოდეხის ცენტრალური სკვერის /ქიზიყის ქუჩიდან სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით/, გამგეობის წინამდებარე სკვერისა და 26 მაისის ქუჩის /თამარ მეფის ქუჩის კვეთამდე/ საპროექტო /სახარჯთაღრიცხვო/ მომსახურების შესყიდვა /შემდგომში მისი განხორციელების მიზნით/.

წინამდებარე საკონკურსო პირობები შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე.

ქ. ლაგოდეხი

- 2012 წ. –

საკონკურსო განცხადება

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა /მის: ქ.ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. N25/ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს ქ. ლაგოდეხის ცენტრალური სკვერის /ქიზიყის ქუჩიდან სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით/, გამგეობის წინამდებარე სკვერისა და 26 მაისის ქუჩის /თამარ მეფის ქუჩის კვეთამდე/ საპროექტო /სახარჯთაღრიცხვო/ მომსახურების შემდგომში მისი განხორციელების მიზნით, შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს /როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი/.
2. შესყიდვის ობიექტი - ქ.ლაგოდეხში მდებარე ცენტრალური სკვერის /ქიზიყის ქუჩიდან სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით/, გამგეობის წინამდებარე სკვერისა და 26 მაისის ქუჩის /თამარ მეფის ქუჩის კვეთამდე/ საპროექტო /სახარჯთაღრიცხვო/ ნახაზების შედგენა.
3. კონკურსის მიზანია - ქალაქ ლაგოდეხში მდებარე ცენტრალური სკვერის /ქიზიყის ქუჩიდან სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით/, გამგეობის წინამდებარე სკვერისა და 26 მაისის ქუჩის /თამარ მეფის ქუჩის კვეთამდე/ რეაბილიტაცია.
4. საკონკურსო პრემიის ოდენობა შეადგენს 7500 /შვიდი ათას ხუთასი/ ლარს.
5. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება /ერთ დალუქულ კონვერტში, 1 დისკზე ჩაწერილი ელექტრონულ ვერსია და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი/ უნდა წარმოადგინონ 2012 წელს 20 თებერვლის 12.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. N25-ში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, საკონკურსო კომისიის აპარატში - ვლადი მჭედლიძესთან.
6. კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 20 თებერვალს 12.00 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. N25-ში, გამგეობის სხდომათა დარბაზში გამარჯვებული კი გამოვლინდება 2012 წლის 24 თებერვალს 12.00 საათზე.

საკონკურსო პირობები

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა /მის: ქ.ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. N25/ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრებით აცხადებს კონკურსს ქ. ლაგოდეხში მდებარე ცენტრალური სკვერის /ქიზიყის ქუჩიდან სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით/, გამგეობის წინამდებარე სკვერისა და 26 მაისის ქუჩის /თამარ მეფის ქუჩის კვეთამდე/ სარეაბილიტაციო მომსახურების წინადადების მისაღებად შემდგომში მისი განხორციელების მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს /როგორც ფიზიკური აგრეთვე იურიდიული პირი/.
2. კონკურსის მიზანია - ქალაქ ლაგოდეხში მდებარე ცენტრალური სკვერის /ქიზიყის ქუჩიდან სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით/, გამგეობის წინამდებარე სკვერისა და 26 მაისის ქუჩის /თამარ მეფის ქუჩის კვეთამდე/ რეაბილიტაცია /იხ.დანართი N2/.
3. წარმოდგენილი წინადადება უნდა ასახავდეს ლაგოდეხის ისტორიულ, გეოგრაფიულ, კულტურულ, ინოვაციურ მიმართულებებს, მან უნდა შექმნას ადგილობრივ მოსახლეობისა და ვიზიტორთა პოზიტიური ფონი.
4. შესყიდვის ობიექტი: ქ.ლაგოდეხში მდებარე ცენტრალური სკვერის /ქიზიყის ქუჩიდან სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით/, გამგეობის წინამდებარე სკვერისა და 26 მაისის ქუჩის /თამარ მეფის ქუჩის კვეთამდე/ საპროექტო /სახარჯთაღრიცხვო/ დოკუმენტაციის შედგენა.
5. საკონკურსო პრემიის /მათ შორის ნახაზების, ხარჯთაღრიცხვის, ელექტრონული ვერსიის/ ოდენობა შეადგენს 7500 /შვიდი ათას ხუთასი/ ლარს.
6. კონკურსში მონაწილეობის საფასური:
   6.1. საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის პირი იხდის საფასურს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-19' მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით /50 ლარი/.
   საფასური გაფორმდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.procurement.gov.ge/.
   6.2. საფასურის გადახდის დამადასურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
   ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
   პირის მიერ 6.2. პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.

8. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.
9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
10. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
11. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.
12. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ /საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება/.
13. კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 20 თებერვალს 12.00 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. N25, გამგეობის სხდომათა დარბაზში. გამარჯვებული გამოვლინდება 2012 წლის 24 თებერვლის 12.00 საათზე.
14. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება /ერთ დალუქულ კონვერტში, ერთ დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ვერსია და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი/ უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 20 თებერვლის 12.00 საათამდე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში შემდეგ მისამართზე: ქ.ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. N25, საკონკურსო კომისიის აპარატში - ვლადი მჭედლიძესთან.
15. საკონკურსო პრემია გამარჯვებულ კონკურსანტს გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ კონკურსანტს შორის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ 30 /ოცდაათი/ დღის განმავლობაში.
16. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს:
- ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილ პროექტს;
- რეკვიზიტების დანართი N1-ის მიხედვით.
17. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:
- განმარტებითი ბარათის სრულად მისადაგება, ნამუშევრის ორიგინალური ინოვაციური გადაწყვეტა, ლაგოდეხის ისტორიულ-კულტურული, ეთნოგრაფიული ასპექტების გათვალისწინება - კოეფიციენტი 0,25.
- დასაპროექტებელი მოედნის სივრცითი მოწყობის კონცეფცია - კოეფიციენტი 0,25.
- სიტუაციური გეგმა-ნახაზის შედგენა მასშტაბით 1:2000 - კოეფიციენტი 0,25.
- ძირითადი სამშენებლო მასალების სპეციფიკაცია - კოეფიციენტი 0,25.

საკონკურსო წინადადება შეფასდება საკონკურსო პირობებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტული კოეფიციენტების მიხედვით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

18. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა

და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების შესაბამისად.

19. კონკურსთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონკურსო აპარატში ქ.ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. N25, საკონტაქტო პირი ვლადი მჭედლიძე, ტელ: 577505995.

ტექნიკური დავალება

- წარმოდგენილ პროექტში უნდა გათვალისწინებულ იქნეს ლაგოდეხის ისტორიული, ეთნოგრაფიული, აგრეთვე კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობები და ასპექტები;
- მოსასვენებელი კუთხეები, მოსასვენებელი საპარკე სკამები, სანაგვე ურნები, შესაძლო პარკინგის პროექტირება ავტომანქანებისათვის;
- შადრევანის გათვალისწინება;
- დენდროლოგიური პროექტი და მცენარეთა ექსპლიკაცია;
- დეკორატიული განათებების, არქიტექტურული მინათებისა და თანამედროვე სარწყავი ქსელის დაპროექტება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა.

პროექტი უნდა შეიცავდეს:

ა) განმარტებით ბარათს, ნახაზებს, სქემებს, სკვერის ხარჯთაღრიცხვას /სამშენებლო, ელექტრო, საკანალიზაციო, დენდროლოგიური/, ყველა განსახორციელებელი სამუშაოს ზუსტ დეტალურ გაწერას.

ბ) პროექტი /ხარჯთაღრიცხვა/ ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ შესაძლებელი იყოს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება ცალკ-ცალკე ქალაქში მდებარე ცენტრალურ სკვერში /ქიზიყის ქუჩიდან სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით/, გამგეობის წინამდებარე სკვერში და 26 მაისის ქუჩაზე /თამარ მეფის ქუჩის კვეთამდე/.

გ) კონკურსანტმა თავისი საავტორო უფლებების დაცვით, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის წინადადებები.

შენიშვნა: - წარმოდგენილ პროექტს /ხარჯთაღრიცხვა/ თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული

ვერისა - 1 დისკი;

- გამარჯვებული პროექტის /ხარჯთაღრიცხვის/ გარდა წარმოდგენილი ყველა საკონკურსო წინადადება დაუბრუნდებათ კონკურსანტებს შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

დანართი 1

რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა

პრედენდენტის დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:

/პრეტენდენტის დასახელება/

დირექტორი: /ხელმოწერა/

დანართი N2

1:3000